ევროპის პარლამენტის 2009 წლის 19 თებერვლის რეზოლუცია ევროპის პარლამენტისადმი საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის შესახებ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი ასპექტებისა და არჩევანის თაობაზე 2007 წელს, რომელიც ევროპის პარლამენტს წარედგინა 2006 წლის 17 მაისის უწყებათაშორისი ხელშეკრულების 43-ე მუხლის 'G' პუნქტის საფუძველზე

ევროპის პარლამენტი,
(...)
საბიუჯეტო ასპექტები
(...)
8. მოითხოვს, რომ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ბიუჯეტი იყოს მთლიანად გამჭვირვალე საბიუჯეტო და მხარჯველი ორგანოებისთვის; კვლავ გამოხატავს შეშფოთებას გაუხარჯავი ფონდების გადატანის გამო, და მოუწოდებს კომისიას დროულად შეატყობინოს პარლამენტს შიდა ტრანსფერების შესახებ, ვინაიდან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მისიათა უმრავლესობა მგრძნობიარე პოლიტიკური ბუნების მატარებელია და გახმაურებული კრიზისების მოგვარებას ემსახურება, და ეს არ არის მხოლოდ ევროკავშირის მონიტორინგის მისიას საქართველოში ან ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია კოსოვოში;
(...)

17. ასევე დარწმუნებულია, რომ ომი საქართველოში ადასტურებს მომავალი განვითარების აუცილებლობას, კრიზისის პრევენციის ადეკვატური მექანიზმების დახვეწის საჭიროებას, მათ შორის, სტაბილურობის ინსტრუმენტის და საგანგებო მდგომარეობათა დაგეგმვის, და მიუთითებს კატასტროფებისა და კრიზისების მართვის სფეროში ევროკავშირის შესაძლებლობებისა და გამოცდილების სრული გამოყენების აუცილებლობაზე;
(...)
საქართველო
22. მიესალმება საბჭოს პრეზიდენტის, საფრანგეთის მცდელობას, ევროკავშირს დაეკისროს ძირითადი როლი საქართველოში ომის დასრულებაში; მოუწოდებს ევროკავშირს, განსაკუთრებით საქართველოში მის სპეციალურ წარმომადგენელს კრიზისების კუთხით, მხარი დაუჭიროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს და უმცირესობათა დაცვას, იმავდროულად მიაღწიოს შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების მექანიზმებს და რეგიონის უსაფრთხოების ეფექტიან მონიტორინგს;
23. სთხოვს საბჭოს მოითხოვოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების სრული განხორციელება და უზრუნველყოს, რომ ევროკავშირის მონიტორებს ჰქონდეთ სრული ხელმისაწვდომობა კონფლიქტით დაზარალებულ ყველა ტერიტორიაზე, ევროკავშირის მონიტორთა მისიის მანდატის შესაბამისად; დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირის მონიტორთა მისიისაგან რეგულარული და დროული ინფორმაციის მიღებას:
2009 წლის 19 თებერვალი.

http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.)